ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 303

„13" სექტემბერი 2016 წ.

ქ.თბილისი

ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ ლისში, ჭაობთან არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ №72.16.17.703; №72.16.17.704) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" მე-40 მუხლის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2016 წლის 30 ივნისის №34 ოქმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 7 სექტემბრის №04/16131 წერილის (AR1416691) შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ ლისში, ჭაობთან არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ №72.16.17.703; №72.16.17.704) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული AR1416691 განაცხადის შესაბამისად (იხ. თანდართული უფლებრივი ზონირების რუკა).

2 აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

საავადმყოფოს უფლებრივი ზონირების რუკა

ინდიკატორული ნიშნები

- საკადასტრო ნაკვეთი
- ძირითადი რეგულირების ხაზი
- გამწვანების ხაზი
- საგზაო-მოძრაობის ბოძების ხაზი
- ინდიკატორული 36 ნაკვეთზე
- საბინაო-საყოფაცხოვრებო ფუნქციის ნაკვეთი
- საფეხმავლო ბილიკი
- პარკინგი
- ინდივიდუალური ერთ-ბინიანი საცხოვრებელი სახლი

1	2
3	4
5	6

1 ნიმის ხიდი
2 ბ.ბოლოდარი
3 კ.1 ტერიტორიის ბოლოდარი
4 კ.1 ტერიტორიის ბოლოდარი
5 კ.1 ტერიტორიის ბოლოდარი
6 ეკონომიკურ ტერიტორიის ბოლოდარი

ნაგებობათა ფართობი და განაშენიანების ინტენსივობის მაჩვენებელი

სექტორი (ა)

განაშენიანების ფართობი	3000 მ²	კ-1=0.3
ტერიტორიის ფართობი	10000 მ²	
ფართობი ეკონომიკურ	6000 მ²	კ-2=0.6
ტერიტორიის ფართობი	10000 მ²	

სექტორი (ბ)

განაშენიანების ფართობი	1700 მ²	კ-1=0.4
ტერიტორიის ფართობი	4974 მ²	
ფართობი ეკონომიკურ	3400 მ²	კ-2=0.7
ტერიტორიის ფართობი	4974 მ²	

(ა) ტერიტორიის საერთო ფართობი 10000 მ²

საშუალო კ-1 კოეფიციენტი 3000/10000=0.3
საშუალო კ-2 კოეფიციენტი 6000/10000=0.6
საშუალო კ-3 კოეფიციენტი 6015/10000=0.6
საავტომობილო გზები — 908 მ²
საფეხმავლო ბილიკები — 202 მ²

(ბ) ტერიტორიის საერთო ფართობი 4974 მ²

საშუალო კ-1 კოეფიციენტი 1700/4974=0.4
საშუალო კ-2 კოეფიციენტი 3400/4974=0.7
საშუალო კ-3 კოეფიციენტი 2315/4974=0.5
სარეკრეაციო ფართობი — 127 მ²
საავტომობილო გზები — 995 მ²
საფეხმავლო ბილიკები — 221 მ²

4 განაშენიანების საფეხმავლო-გზებისა
ნაკვეთის ხაზები

განაშენიანების რეგულირების ეტაპი
საბინაო-ეტაპობრივად
ფოდგენილი "ფილიალი" კვარტალი
ტიპის საფეხმავლო გზებისა
ნაკვეთის ხაზები

5 კიბეებიანის ფართი –
ინტენსივობის კოეფიციენტი

საბინაო-ტერიტორიაზე კიბეებიანის ფართი
ინტენსივობის ნორმატიულ მაჩვენებლის
ინტენსივობის კოეფიციენტი კ-3= 0.1

6 ავტომობილების საფეხმავლო ადგილების ფართი

61 განაშენიანების რეგულირების ეტაპი
საბინაო-ტერიტორიაზე ეკონომიკურ ნაგებობა
ბინებისა- ავტომობილების ბინებისა-ად 1,5ადგ